# მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება N289

**მცხეთა** **ივნისი, 2022 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლა ს/კ 236059251, წარმოდგენილი მისი დირექტორის, მ/შ ეთერ ჩიხლაძის სახით, (შემდგომში ,,დამკვეთი“), და, მეორე მხრივ, ი/მ „გიორგი გიორგაძე“ ს/კ 01001097576 წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის გიორგი გიორგაძის სახით (შემდგომში ,,შემსრულებელი“), დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (მონეტარული ზღვრის დაცვით) შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლისათვის მომსახურეობის გაწევა: კლასიფიკატორის კოდით CPV-51700000 - ცეცხლმაქრის გადამუხტვა:

| N | მომსახურების დასახელება | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | ერთ.ფასი | სულ ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცეცხლმაქრის გადამუხტვა | ცალი | 5 | 33.00 | 165.00 |

## 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 165,00 (ასსამოცდახუთი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დამკვეთი ახორციელებს კონტროლს.

3.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. გაწეული მომსახურების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, ინსპექტირებას ახორციელებს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლის დირექტორი - მ/შ ეთერ ჩიხლაძე.

## 4.მომსახურების მიწოდების ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული მომსახურება მოახდინოს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში - 2022 წლის 09 ივლისის ჩათვლით.

## 5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.,,დამკვეთს“ უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2.,,დამკვეთი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.3.,,შემსრულებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.4 .,,შემსრულებელი“ ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 6.ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;
6.2. გადახდის ფორმა- უნაღდო;
6.3. ანგარიშსწორების ვადა - მომსახურების გაწევიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 7.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის
შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.
8.2.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3 .საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. დამკვეთს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. დამკვეთს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ დამკვეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

## 10.ფორს-მაჟორი

10.1.ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 12.გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი გაფორმების თარიღიდან 2022 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით.

## 14.სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსრულებელთან და ერთი პირი დამკვეთთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად მხარეთა მიერ.

## 15.მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| ,,შემსყიდველი“<br>სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის,<br>სოფელ წეროვნის N2 საჯარო სკოლა<br>მის.: სოფ. წეროვანი<br>ს/კ 236059251<br>ტელ: 577 97 11 12<br><br>_____<br><br>**დირექტორი:**<br>**ეთერ ჩიხლაძე** | „მიმწოდებელი“<br>ი/მ „გიორგი გიორგაძე“<br>მის.: ქ.თბილისი, გლდანი 5-14-10<br>ს/კ 01001097576<br><br>ბანკი :სს ,,საქართველოს ბანკი“<br>ბ/კ BAGAGE22<br>ა/ა GE83BG0000000162603035<br><br>_____ Giorgi Giorgadze Digitally signed by Giorgi Giorgadze Date: 2022.06.29 15:50:41 +04'00'<br><br>**ინდ/მეწარმე:**<br>**გიორგი გიორგაძე** |